დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მთემატიკის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე

წევრები:

1. ნათელა ბასილია--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ლელა გორდულაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. ნინო თევდორაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. სოფიო მგალობლიშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ლედი კუთხაშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. გიორგი ტაბუციძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. მარინე ხუციშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ლალი აბულაძე--მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. კობა დეკანაძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ნათია ბალხამიშვილი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245428933

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ბათუმი ფიროსმანის ქუჩა N5
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი ფიროსმანის ქუჩა N5 და სვიშევსკის N1
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.pmc.edu.de
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	baTumi6@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(995422)243051

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 3 23 0000654044; 07/06/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წელის 20-21 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა ქალაქი ბათუმი ფიროსმანის ქ.N5
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა ქალაქი ბათუმი ფიროსმანის ქ.N5 და სვიშევსკისქ.N1
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა ქალაქი ბათუმი ფიროსმანის ქ.N5 და სვიშევსკისქ.N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 20 და 21 ივლისს, სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა სკოლის სამივე სასწავლო კორპუსი: მათ შორის კომპიუტერული კლასები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რომელთა შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
---	---	---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ბათუმის მე-6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა ორიენტირებულია არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებაზე. სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე და სკოლის თვითმართველობის ჩართულობით სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგნობრივი წრეები და კლუბები: ქიმიის კლუბი-ლაკმუსი, ტექნოლოგიების კლუბი საბაზოდა-საშუალო საფეხურზე- კოდირება პითონზე, ბიოლოგიის კლუბი-ნატურა, სამოქალაქო განათლების კლუბი, კალათბურთის გუნდი -ალგორითმი, ნორჩ ტექნიკოსთა წრე ფიზიკაში. სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ფიზიკა-მათემატიკის და ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნა გაიღრმაონ გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის სასწავლო ცენტრში. ტექნოლოგიების მიმართულებით სკოლამ წარმატებით გაიარა ხელოვნური ინტელექტის კლუბების შესარჩევი ეტაპი, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამერიკის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. სკოლა გადაეცა არდუინოს რობოტექნიკა.

სკოლას აქვს ვებ-აპიკაცია ,,მასწავლებლის პორტალი“, რომელიც წარმოადგენს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე ეფექტურ ინსტრუმენტს. პორტალი იძლევა სასკოლო საქმეების ცენტრალიზებულად მართვის საშუალებას. პორტალზე თავს იყრის საგნობრივი კურიკულუმები, სადამრიგებლო პროგრამები, მასწავლებლის და დამრიგებლის ანგარიშები, შემაჯამებელი წერების ანალიზები, კომპლექსური დავალებები, გაკვეთილის განრიგი და სხვა. პორტალის პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა დაგეგმილი საქმიანობის მონიტორინგის და შეფასების საშუალებას.

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I.
ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----2800--------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ---- მეტწილ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-- მეტწილ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა--მეტწილ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულგეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (04.09.2023-12.09.2023) უზრუნველყოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (04.09.2023-12.09.2023) უზრუნველყოს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26/06/2023-2023 წლის დეკემბერი), უზრუნველყოს: 1. სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; 2. სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან 3. სამივე შენობის მდგრადობაზე დასკვნის მოპოვება
ინდიკატორი 3.5..1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2023 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) უზრუნველყოს მე-2 და მე-3 კორპუსების, სკოლის მფლობელობაში არსებობის დადასტურება (საჯარო რეესტრის ამონაწერით)
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

	(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურ კურიკულუმები)	
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01/09/2023-15/09/2023), უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.6	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.	მიზანშეწონილია, სკოლამ განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი სკოლის ამჟამინდელი სახელწოდების შესაბამისად.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვას უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სახმსახური, რომელიც სკოლას სტრუქტურით განსაზღვრული არ ჰყავს. მიზანშეწონილია, ზემოთაღნიშნული პროცესის პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, სკოლამ შეარჩიოს არსებული სტრუქტურული ერთეულებიდან ან შქმნას სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სახმსახური.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	1. მიზანშეწონილია,სამედიცინო კაბინეტში დაცული იყოს პაციენტის გასასინჯი სივრცის პრივატულობა 2. მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის

		უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	მიზანშეწონილია, სკოლამ უზრუნველყ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების მატერიალური ფორმით აღრიცხვა და განსაზღვროს ხელშერულებების აღრიცხვასა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	მიზანშეწონილია, სკოლამ ერთიანი დოკუმენტის სახით შეიმუშაოს ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა წესები“, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება სკოლის სპეციფიკა. კერძოდ, ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადასვლის წესები და პირობები

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს პრობლემის გადაჭრის გზებ და საშუალებები. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მონიტორინგის და შეფასების პროცესში? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას?

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზირებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და შემუშავებულ დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა გარკვეული ინდიკატორების შეფასება. ინდიკატორების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ნაწილი კი მეტწილად შესაბამისი.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

1.განახლებული ,,სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“

2. სტრატეგიული განვითარების 2023-2030

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა იღებს ვალდებულებას ფიზიკა-მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებს განუვითაროს შესაბამისი უნარი, რათა მომავალში თავიანთი წვლილი შეიტანონ საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი და ტექნიკური მეცნიერებების განვითარებაში და სწორად განსაზღვრონ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.

   ინდიკატორი 1. 1. 1. 1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა არსებული მისიითა და ხედვით განსაზღვრავს ისეთი მექანიზმების ამოქმედებას, რაც შექმნის „ჩვენ“ განცდას. იგი თავის ირგვლივ იკრებს ფიზიკა- მათემატიკის ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს, გეგმავს იზრუნოს მათთვის არამარტო ცოდნის გადაცემაზე, არამედ მათში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ხედვით განსაზღვრული სოციალურად სწორი ორიენტირების მიტანა მოსწავლეებამდე სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო გარემოს ფორმირების საფუძველი გახდება.

   ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა, რომელიც იყო წარმომადგენლობითი (დირექციის წევრები, მასწავლებლები, სამეურვეო საბჭოს წევრი სამივე საფეხურის მშობლები) სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია. ზემოთაღნიშნული სამუშაო ჯგუფის ოქმი №1-ან დგინდება, რომ არსებული სკოლის ფილოსოფია მისაღებია სასკოლო საზოგადოებისთვის და ამ ეტაპზე სრულად შეესაბამება სკოლის სტრატეგიულ მიზნებს. ამიტომ სასკოლო საზოგადოებამ გადაწყვეტილება არსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დარჩეს უცვლელი. აღსანიშნავია, რომ არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის სავიზიტო ბარათია ფიზიკა-მათემატიკის სტატუსის მინიჭებიდან (2013 წელი), იმ დროს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ვალდებულება სკოლას არ ჰქონდა, ამდენად ჩართულობის ამსახველი მასალებიც არ არსებობს, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (N1 და N2) ადასტურებს სკოლის

ფილოსოფიის გადახედვა/რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, პროცესის შედეგად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დარჩა უცვლელი.

ამრიგად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის სხდომის N1 და N2 ოქმებით გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით არის შექმნილი.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს მისი გაცნობის, მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის მიცემის საშუალება. სკოლას უკუკავშირი არ მიუღია, ამიტომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები უცვლელი სახით არის წარმოდგენილი. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, იგი განთავსებულია სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებით - „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა“. თუმცა, ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, ჯერ კიდევ ფიქსირდება სკოლის ძველი სახელი **„სსიპ ქ. ბათუმის №6 საჯარო სკოლა“, რომელიც შეიცვალა 2013 წელის 28 მარტის №43/ნ ბრძანებით და სსიპ- ქალაქ ბათუმის №6 საჯარო სკოლას მიენიჭა, სსიპ-ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სახელი. მიზანშეწონილი, სკოლამ განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი სკოლის ამჟამინდელი სახელწოდების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება №01-02/44 „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მისიაზე, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის სხდომის ოქმები №1 და N 2
- სკოლის ვებ.გვერდი http://pmc.edu.ge/skola/index.php

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები: სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება, სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და სტრატეგიული გეგმის გადახედვა. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ყველა ეტაპზე რთავს სასკოლო საზოგადოებას. დაგეგმვის ეტაპზე მუშაობს წარმომადგენლობითი ჯგუფი, შემდეგ გაუზიარდება სასკოლო საზოგადოებას პრეზენტაციის სახით, სადაც მათ უკუკავშირის გაცემის საშუალება ექნებათ. საბოლოო სახით ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რის შემდეგაც მოხდება მისი გასაჯაროება სკოლის ვებ. გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეცემა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება. ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ ,,ამ ეტაპზე სკოლა არა აქვს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. თუმცა, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია და შედეგების გათვალისწინებით დაიწყო სკოლის სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა. ზემოთაღნიშნული სამუშაო ჯგუფის ოქმი №2 -დან დგინდება, რომ ჯგუფმა მოამზადა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი. სკოლის დირექტორის

№01-02/45 „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბრძანებაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცდება 2023 წლის 6 სექტემბერს, სკოლის ბუღალტრის ფინანსური გაანგარიშების, კოორდინაციისა და სასკოლო საზოგადოების განხილვის შემდეგ, სამეურვეო საბჭოს მიერ“. **1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგისა და სკოლის დირექტორის ბრ.№01-02/45 შექმნილი სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის სამუშაო გეგმის შესაბამისად, 6 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დაამტკიცა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლეიც არის 7 წლიანი (2023-2030 წლები). წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას და მოიცავს მისიის შესაბამის მიზნებს და ამოცანებს.**

ამრიგად,სკოლამ უზრუნველყო ხარვეზის გამოსწორება.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. დასკვნის პროექტის თანახმად ,, **სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.** თუმცა დაწყებული იყო მუშაობა ამ მიმართულებით. სკოლის დირექტორის №01-02/45 „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბრძანებაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება მოხდება 2023 წლის 12 სექტემბერს“. **1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (04.09.2023-12.09.2023) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილად შესაბამისობაშია.

4. დასკვნის პროექტის თანახმად ,,ამ ეტაპზე სკოლას არა ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი №2 საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მუშაობს ამ მიმართულებით“. **1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის**

გეგმით დადგენილ ვადებში (04.09.2023-12.09.2023) და სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი №2-ის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი 1.2.1.4 მეტწილად შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება №01-02/44 „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მისიაზე, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/45 „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის სხდომის ოქმი №2
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი № 12; 06/09/2023

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დასკვნის პროექტით განსაზღვრული იყო, რომ ,,სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია არ მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლის დირექტორის №01-02/45 „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბრძანებაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცდება 2023 წლის 8 სექტემბერს. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის შეფასება, რომელიც განხორციელდება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ“.
   სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა, სკოლის დირექტორის №01-02/45 ბრძანებით დამტკიცებული განახლებულია ,,სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს. განსაზღვრულია მონიტორინგის პერიოდი და მონიტორინგის განმხორციელებელი სტრუქტურა. ამრიგდა, სკოლამ უზრუნველყო ხარვეზის გამოსწორება, ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად ინდიკატორიც ვერ ფასდება
3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ვერ ექნებათ გასაჯაროებული.
4. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შეფასება ჯერ ვერ მოხდებოდა. ამდენად ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/45 „სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“
- დირექტორის №01-02/45 ბრძანებით დამტკიცებული განახლებულია ,,სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც წარმოდგენილია გრაფიკული სახით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის სამი მოადგილე და ბუღალტერი), ადმინისტრაციას (მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი), კათედრები და დამრიგებლები. სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია ორი ექიმი(გადანაწილებულია ორ მისამართზე), ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები (სსსმ პირის ასისტენტი-4, ენისა და მეტყველების სპეციალისტი-1), დამლაგებელი-11(გადანაწილებულია ორივე მისამართზე: IდაII კორპუსი-7, ხოლო III კორპუსი-4) , დარაჯი-4 (IდაII კორპუსი-2, ხოლო III კორპუსი-2), მუშა-1 საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული სავალდებულო სტრუქტურული რგოლების მუშაობას არეგულირებს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები გაწერილია დირექტორის მ/შ ბრძანება 01-01/78-ით დამტკიცებულ ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციებში“, ხოლო ტექნიკური პერსონალის ფუნქციები შრომითი ხელშეკრულებებში. სკოლის ადმინისტრაციასთან და ტექნიკურ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიან ფუნქციები და მოვალეობები.
   წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურით, დირექტორის მ/შ ბრძანება 01-01/78-ით დამტკიცებულ ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციებით“ და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სამ შენობაში, ამდენად მნიშვნელოვანია სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწორად იყვეს გადანაწილებული. გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან და დირექტორი მ/შ-ს ბრძანება 01-01/78-ით დამტკიცებულ ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციებიდან“ ნათლად ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. პროცესების ეფექტურად მართვის მიზნით, გარკვეულ პოზიციებზე დასაქმებულია რამდენიმე პირი. საშტატო განრიგით დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე. რომლებიც თავის ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებენ მათვის განსაზღვრულ სასწავლო კორპუსებში. ასევე სკოლის ჰყავს ორი ექიმი, რომლებიც გადანაწილებულია ორ მისამართზე, 11 დამლაგებელი გადანაწილებულია კორპუსებისა და სართულების მიხედვით. გადანაწილებული ფუნქციები რამდენად ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, შეიძლება დადგინდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების მუშაობის შეფასებით. ამ მიზნით სკოლა შემუშავებული აქვს ,,შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების დებულება“. დებულების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. სასწავლო პროცესის შიდა კონტროლის მექანიზმებს წარმოადგენს მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა, ანკეტირება და სხვადასხვა სახის კვლევები. დებულებიდან ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლის შეფასებას, კათედრის თავმჯდომარის მუშაობის შეფასებას, დამრიგებლის მუშაობისა და სადამრიგებლო საათის შეფასებას. დებულების დანართით წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმიდან ჩანს, რომ ყველა პროცესს ჰყავს თავისი პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც ნათლად გამოჩნდებოდა კონკრეტული აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების გადანაწილება რამდენად რელევანტურია მათთვის დაკისრებული ფუნქციების.

სკოლის სტრუქტურა, დირექტორის მ/შ ბრძანება 01-01/78-ით დამტკიცებულ ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები“, დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი

ხელშეკრულება და დირექტორის მ/შ 01-02/40 ბრძანებით დამტკიცებული ,,შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების დებულება“ იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)
- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები
- დირექტორის მ/შ ბრძანება 01-01/78-ით დამტკიცებულ ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები
- დირექტორის მ/შ ბრ. 01-02/40 დამტკიცებული ,,შიდა კონტროლის წესისა და ფორმების დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული წესები და პირობები გაწერილია სკოლის დირექტორის N1-02/35 ბრძანებით დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში. დასახული მიზნების განხორციელებისთვის, დაწესებულება ხელმძღვანელობს პედაგოგების/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონასლის მოზიდვის, ინტეგრაციის, განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცედურებითა და წესებით. დასაქმებულთა მუშაობის პირობების განსაზღვრა და სამუშაოს განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები) დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას. სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას. თანამშრომელთა შეფასების არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: როტაცია, დაქვეითება, გადამზადება. სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გადამზადების მიზნით სკოლა პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებს და საკონსულტაციო შეხვედრებს, სკოლის დაფინანსებით გადამზადების პროგრამებს ერთი თვის ვადით ანაზღაურებად სასწავლო შვებულებას და სხვა საჭიროებიდან გამომდინარე ღონისძიებებს. სკოლის დირექტორი განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. სკოლის შინაგანაწესთ განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას, მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით, ხოლო სხვა დასაქმებულის შემთხვევაში მოახდინოს ფუნქციათა დელეგირება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელზე.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პროცედურები.

დოკუმენტის თანახმად, სკოლის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზიდვის და დაქირავების გამჭვირველე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სხვა საჭირო კადრისთვის მოზიდვისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლამ წარმოადგინა გეოგრაფიის ვაკანტური საათების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. სკოლის დირექტორის განმარტებით, დანარჩენი პერსონალის (მასწავლებლების გარდა) შერჩევა ხდება დირექციასთან გასაუბრების ან კონკურსის გზით. წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4..სკოლაში დასაქმებულია 175 თანამშრომელი, მათ შორის 145 მასწავლებელია, 102 უფროსია, 38 წამყვალი. 1-მენტორი, 2-მოწვეული. სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. კონკურსის წესითაა შერჩეული სკოლის ორი ექიმი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული

სპეციალისტები (სამი სპეც მასწავლებელი, ოთხი სსსმ პირის ასისტენტი და ერთი ენის და მეტყველების სპეციალისტი). რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5.. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პოლიტიკის მართვის ძირითად პრინციპები და ღირებულებები, მათ შორის მნიშვნელოვანია მონაწილეობის პრინციპი, რაც გულისხმობს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. გუნდური მუშაობა მხარდაჭერილია სკოლაში არსებული საზიარო სივრცეებით. კერძოდ, სკოლის სამივე შენობაში არის სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა სადაც პედაგოგებს საშუალება აქვს იმუშაონ ერთობლივად. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების მუშაობა ეფუძნება მონაწილეობით პრინციპს და გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება. შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა დაწინაურების, წახალისების, გადაყვანის საფუძველი. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელის მასტიმულირებელი საქმიანობის კრიტერიუმები და ინდიკატორები. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საშუალებით, მასწავლებლი ფასდება ქულებით. მაღალი შედეგების მქონე მასწავლებელი წახალისდება სკოლის დირექციის მიერ.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები
- დირექტორის ბრ. N1-02/35 დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
- დირექტორის ბრ. 01-02/83-ით დამტკიცებული ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“
- დირექტორის ბრ 01-02/81-ით დამტკიცებული ,,მასწავლებლის მასტიმულირებელი საქმიანობის კრიტერიუმები და ინდიკატორები“
- დირექტორის ბრ. 01-02/23-ით დამტკიცებული ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ვაკანტური საათების დასაკავებლად, ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განცხადებების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცალკე თავი ეთმობა ,,პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარებას“, სადაც გაწერილია პერსონალის შეფასების ძირითადი მიზნები და პროცედურები.

დებულება ითვალისწინებს პედაგოგების და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასებას. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ახდენს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასება ხორციელდება სამსახურებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, მათი პროდუქტიულობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ადმინისტრციულ/დამხმარე პერსონალის შეფასების კითხვარი, სადაც ჩანს, რომ პერსონალი ფასდება განხორციელებული სამუშაოს ხარისხი და უნარ-ჩვევების მიხედვით (კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა, კომუნიკაბელურობა, პუნქტუალურობა, გამოცდილება, შენიშვნის ადეკვეტურად მიღება და სხვა). შეფასების შედეგის ანალიზით განისაზღვრება, რამდენად შეესაბამება ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის მუშაობის მოცულობა ან/და ხარისხი სკოლის დეკლარირებულ მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება გაუმჯობესების გზები სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად.

სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ფარგლებში სხვადახსვა ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, სკოლის დაფინანსებით საჭიროებაზე მორგებული ტრენინგების დაგეგმვა.

ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა დაწინაურების, წახალისების, გადაყვანის, დაქვეითების და გათავისუფლების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არაჯეროვნად შესრულებული სამუშაო მიიღებს მრავალჯერად ფორმას, სკოლის დირექტორს, უფლება აქვს დააყენოს პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დოკუმენტში გვახდება ჩანაწერი ,,სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განითარებისთვის სკოლა პერსონალს სთავაზობს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ პროფესიული განვითარების ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრებს“. სკოლის სტრუქტურით არ არის განსაზღვრული ასეთი სამსახურის არსებობა.

მიზანშეწონილია, სკოლამ ზუსტად შეარჩიოს სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი/ სტრუქტურული ერთეული, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის მიერ გაცხადებული პროფესიული განვითარების მექანიზმების დანერგვას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და დირექტორის ბრძანებით განსაზრვრული ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შემდეგ მოხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. კერძოდ,

პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ფარგლებში სხვადახსვა ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, სკოლის დაფინანსებით საჭიროებაზე მორგებული ტრენინგების დაგეგმვა.

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა აცხადებს მაზაობა, იზრუნოს სკოლის პერსონალის განვითარებაზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. რამდენადაც ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია და სამოქმედო გეგმა არა აქვს შემუშავებული, შესაბამისად არ ჩანს პროფესიული განვითარებისთვის რა სახის აქტივობებია დაგეგმილი და რა ტიპის რესურსებს გამოყენებს დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად. ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება.

3.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დასაქმებულს სკოლაში ეძლევა კარიერული წინსვლის საშუალება, კერძოდ საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალს ეძლევა დაწინაურების საშუალება. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". სკოლაში არსებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად, ხარისხის ჯგუფის დახმარებით, დაგეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება ე.წ. „კრიტიკული მეგობრის" ფორმატი, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გადამზადების უზრუნველყოფა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების გაცნობა, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა სოციალიზაციისა და ადაპტაციის

პროცესი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი თანამშრომლის სამუშაო პროცესში ჩართვას. სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროცესი გამოიყენება აგრეთვე სკოლის თანამშრომლის დაწინაურებისას. სოციალიზაცია და ადაპტაციის პროცესი მოიცავს: ახალი თანამშრომლისთვის სკოლის მისია, მიზნების, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებისა და სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციების გაცნობას. ახალ თანამშრომელს, უშუალო ხელმძღვანელი (კათედრის ხელმძღვანელი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) აცნობს თანამდებობრივ ინსტრუქციებს და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები უნდა შეასრულოს, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში. აცნობს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვანი შესრულებისთვის. საჭიროების შემთხვევაში დგება კონკრეტული ტრენინგ პროგრამა ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: ანაზღაურების მომატება, დაწინაურება, პრემია, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის შინაგანაწესი
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს, დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზიის, ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას; სტრატეგიული დაგეგმვა; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ხარისხის მართვის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, სადაც თავმოყრული იქნება ყველა ზემოთმოყვენილი პროცესები, გაწერილი იქნება: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნება სკოლაში მიმდინარე ძირითადი, მართველობითი და დამხმარე პროცესები, სკოლისთვის დადგენილი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, შიდა კონტროლის სისტემა, სკოლის შინაგანაწესი აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვა, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოების დებულებებით: დირექცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო აღწერილია მმართველობით პროცესები, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების ინსტრუქციებით, ლაბორატორიის სარგებლობის წესით, სასწავლო რესურსების სარგებლობის წესით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიებით და სხვა ინსტრუმენტებით.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში. ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის" თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული ქულის ამაღლების წესი და პირობები, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლაში, ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, დამრიგებელს ევალება: მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლს მათი უფლებების და მოვალეობების (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) გაცნობა. სასკოლო სასწავლო გეგმა ასევე განთავსებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დამრიგებელი სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მოსწავლეებს აცნობს თავის უფლებებს და მოვალეობებს. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დამრიგებლის დებულება
- დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლის დირექტორი ბრ. 01-02/40 დამტკიცებული ,,სკოლის შიდა კონტროლის მექანიზმები“
- კურიკულუმის დაგეგმვით მეთოდოლოგია
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის ვებ/გვერდი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ვებგვერდის საშუალებით უზიარებს სასკოლო საზოგადოებას სკოლაში მიმდინარე სიახლეების. სკოლის ვებ/გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა და ახალი სტრატეგიული გეგმის პროექტი. სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლისთვის (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გამოყოფილია თემატური ბლოკები, თუმცა საჭიროებს განახლებული ინფორმაციების განთავსებას. ვებ/გვერდის საკონტაქტო ბლოკში განთავსებული სკოლის მისამართი, მეილი და ტელეფონის ნომერი, ასევე შესაძლებელია ვებ/გვერდიდან წერილის მიწერა. სკოლა, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, ასევე უზრუნველყოფს საკუთარი ფეისბუქგვერდისა და მშობელთა კრებების საშუალებით. სკოლას მიმდინარე პროცესების შესწავლსითვის იყენებს გამოკითხვის

მეთოდს, შემუშავებულია მშობლის და მოსწავლის კითხვარები. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აკეთებს რეფლექსიას. შედეგების ანალიზს გამოიყენებს პროცესების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დასაგეგმად.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ/გვერდი
- დამრიგებლის პროგრამა
- მშობელთა გამოკითხვის ფორმა და რეფლექსია .

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლაში არის მანდატურის სამსახური, რომლებიც სკოლის სამივე სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფენ ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. უსაფრთხოების მიზნით, სკოლის სამივე კორპუსის პერიმეტრი შემოღობილია (პირველი და მეორე კორპუსს განთავსებულია ერთ მისამართზე და აქვს საერთო ეზო) და დაცულია უცხო პირთა გადადგილება 24 საათის მანძილზე, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის 4 დარაჯი. მე-3 კორპუსის (სვიშევსკის ქ.N1) უსაფრთხოებას დარაჯთან(2 დარაჯი) ერთად უზრუნველყოფს დაცვის პოლიცია. უსაფრთხოების პრევენციის მიზნით, საფეხურების მიხედვით, სასწავლო პროცესი გადანაწილებულია სკოლის სამივე კორპუსში. კერძოდ, დაწყებითი კლასები განთავსებულია შენობის პირველ კორპუსში. საბაზო და საშუალო კლასები მეორე კორპუსში, ხოლო მე-3 კორპუსში, საბაზო, საშუალო საფეხურის და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული პროგრამის ჯგუფები, რამდენადაც აღნიშნული კორპუსი უზრუნველყოფილია გაძლიერებული პროგრამის შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ჰყავს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი კვალიფიკაციის ორი ექიმი, რომლებიც გადანაწილებულია სკოლის ორივე მისამართზე. სკოლის ორივე მისამართზე არსებობს სამედიცინო კაბინეტი. მიზანშეწონილია, სამედიცინო კაბინეტის მოწყობის დროს გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. კერძოდ, ვიზიტის დროს არც ერთ სამედიცინო ოთახში არ იყო პაციენტის გასასინჯი სივრცის პრივატულობა დაცული.

მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ ,,სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა (**ბრძანება №01-02/ 53,05 ნოემბერი 2015 წელი) , რომელიც არა არის შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან და არ არის გათვალისწინებული სკოლის სამივე შენობისთვის (ვერც იქნება, რამდენადაც მე-2 და მე-3 კორპუსები აშენდა 2021 და 2022 წლებში)**

სკოლას **არა აქვს არც ერთი (სკოლაში სამი სასწავლო კორპუსია) კორპუსის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.** თუმცა, 2023 წლის 26 ივნისს, შესაბამის უწყებასთან, გაგზავნილია წერილი MES 6 23 0000763244, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმების თაობაზე, სადაც არ არის მითითებული, რომ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა საჭიროა სკოლის სამევე კორპუსისთვის. ასევე, არ არის წარმოდგენილი დასკვნა **შენობების (3 შენობა) მდგრადობაზე.** გაგზავნილია წერილი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაფასებლად, თუმცა წერილში არ ჩანს, რომ დასკვნა საჭიროა სამივე კორპუსისთვის.“

ექსპერტთა ჯგუფი, 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (26.06.2023-2023 წლის დეკემბერი) , უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი აქტივობების შესრულება

1.სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;

2.სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან

3. სამივე შენობის მდგრადობაზე დასკვნის მოპოვება

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შესაბამისობაშია.

2.სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი დაცვის მექანიზმები. კერძოდ, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური დევნის საქმისწარმოება, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირები სასწავლო კორპუსების და ცვლების მიხედვით. სკოლაში დირექტორის ბრძანების შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სკოლას აქვს მოსწავლის სკოლიდან გაშვების საშვი. კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება, კარისკაცის/დარაჯის მიერ. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას განსაზღვრული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ მოსწავლის ფსიქოლოგით მომსახურებას შესაბამის სამსახურთან გადამისამართებით. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. მაგალითად, საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებული თემები: პიროვნული და მორალური განვითარება, მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია; სკოლაში განხორციელებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმებით. კერძოდ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში საშტატო განრიგით განსაზღვრულია 11 დამლაგებლის დასაქმება, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების კორპუსებში შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე,

საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში, რომელზეც მარაგებზეც პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის სამივე შენობაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები, ცალკე ბიჭების და ცალკე გოგონებისთვის და პერსონალისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სამივე შენობის სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი და მონიტორინგის შედეგებს აღრიცხავს სპეციალური ჟურნალში, კვების ბლოკის სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგისთვის განკუთვნილია ცალკე ჟურნალი.

ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შემუშავებული, ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების“ შესაბამისად. აღნიშნული წესი და მექნიზმები მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე. ელექტრონულ სისტემაში სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6.. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებში“ დეტალურადაა გაწერილი, მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ფორმები, სკოლის ვალდებულება უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო

განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ტრენინგებს. ასევე, ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილია კიბერუსაფრთხოებასთან და პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით საინფორმაციო და შემეცნებითი აქტივობების ჩატარება. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საინფორმაციო მენეჯერი

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება დირექტორის მ/შ, 2022-2023 წლის 30 მაისის ანგარიშით, ,,სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.“ ანგარიშში ნათქვამია, სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარდა პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებები. ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, ძალადობის, ბულინგი, კიბერბულინგის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ასევე საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, მოსწავლეებისთვის გაცდენებთან და მათ მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით. სკოლამ მიიღო ზომები სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვაზე და შეიმუშავა მოსწავლის სკოლისდან გაშვების საშვი.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. დირექტორის ბრძანება N 01—02/14; 15/02/2021 ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“
3. სადამრიგებლო პროგრამა

4. მრჩეველთა საბჭოს ოქმები N1 და N5
5. პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი
6. დირექტორი მ/შ, 2022-2023 წლის 30 მაისის ანგარიში ,,სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.
7. MES 6 23 0000763244 წერილი შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს
8. MES 3 23 0000763304 წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს
9. ბრძანება 01-02-74 სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კონტროლის განმახორციელებელი პირების განსაზღვრის შესახებ.
10. ექიმის ხელშეკრულება
11. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ ,,სსიპ ბათუმის მე-6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ორ მისამართზე და განთავსებულია სამ სასწავლო კორპუსში, თუმცა აღნიშნული არ დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. ფიროსმანის ქ. N 5 განთავსებულია სკოლის I და II კორპუსი. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტიდან ჩანს (2022 წლის 20 სექტემბერი), რომ სკოლის მე-2 კორპუსი ახლი აშენებულია და ჩაბარდა 2022 წლის 20 სექტემბერს, რაც არ არის ასახული საჯარო რეესტრში. ინფორმაციის განახლება არ მომხდარა 2019 წლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მისამართზე ფიქსირდება ბათუმის მე-6 საჯარო სკოლა, თუმცა სკოლას 2013 წელს შეეცვალა სახელი და გახდა ბათუმის ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (2013 წელის 28 მარტის ბრ. №43/ნ). ასეთივე სიტუაციის მე-3 კორპუსთან მიმართებითაც. იგი მდებარეობს

სვიშევსკის ქ. N1, თუმცა ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, ამის დადასტურება არ ხდება. საჯარო რეესტრის ამონაწერით, ორივე მისამართზე ქონების მესაკუთრა არის სახელმწიფო და ორივე მიღება-ჩაბარების აქტიდან ჩანს, რომ სკოლაზე ქონების გადამცემია სახელმწიფო სტრუქტურები (ფიროსმანის ქუჩა N 5- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, ხოლო სვიშევსკის ქ.N1-სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“), თუმცა აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება საჯარო რეესტრით.

სკოლის პირველი და მეორე კორპუსები განთავსებულია ერთ მისამართზე ფიროსმანის 5-ში, აქვთ საერთო სარგებლობის ეზო და ღია სპორტული მოედანი, მე-3 კორპუსი მდებარეობს სვიშევსკის ქ.1-ში. სკოლის პირველი კორპუსი ოთხსართულიანია, ხოლო მე-2 და მე-3 კორპუსები სამსართულიანი. სკოლაში სულ 63 საკლასო ოთახია, აქედან I კორპუსშია-29 საკლასო ოთახი; IIკორპუსში-20 საკლასო ოთახი, ხოლო IIIკორპუსში-14საკლასო ოთახი. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის კომპიუტერული კლასები (I და III კორპუსებში, II კორპუსში გამოყოფილია სივრცე მოსაწყობად), ასევე მე-3 კორპუსში ფუნქციონირებს რობოტექნიკის ლაბორატორია. სპორტული დარბაზები აქვს სამივე კორპუსს. ექიმის კაბინეტი არის მე-2 და მე-3 კორპუსში. სამასწავლებლო განთავსებულია სამივე შენობაში. ბიბლიოთეკის სივრცე მოწყობილია მე-2 და მე-3 კორპუსში. სკოლის სამივე შენობაში ყველა სართულზე არის სველი წერილები ბიჭებისა და გოგონებისთვის. სველი წერტილები განკუთვნილი პერსონალისთვის და სსსმ პირისთვის. მე-2 და მე-3 კორპუსები აღჭურვილია ლიფტებით. მე-3 კორპუსში გამოყოფილია დიდი საგარდერობო სივრცე, აღჭურვილი პირადი ლოკერებით. გამოყოფილია ოთახები მანდატურის სამსახურისთვის, დარაჯისთვის და ტექნიკური პერსონალისთვის(დამლაგებლები). მე-2 კორპუსში არის მზის ელექტროსადგური, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, გარდა უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის მიღებისა, გამოიყენებენ სასწავლო რესურსად საბუნებისმეტყველო მიმართულები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფებით. სკოლის ბალანსზეა-1186 მერხი. აღნიშნული მერხები ძირითადად განავსებულია სკოლის პირველ და მეორე სასწავლო კორპუსებში, ხოლო მე-3 კორპუსში არსებული საკლასო ოთახების უმეტესობა (სულ 14 საკლასო ოთახი, აქედან 4 საკლასო ოთახშია განთავსებული მოსწავლის მერხები და სკამები) ამ ეტაპისთვის, საჭიროების არარსებობის გამო არ არის აღჭურვილი მოსწავლის მერხებით და სკამებით. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესი წარიმართოს ორ ცვლაში. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს სამუშაო ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით“.

ექსპერტთა მიერ გაზიარებულია 3.5.1.1 ინდიკატორთამ მიმართებით სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2023 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) უზრუნველყოს, სკოლის მფლობელობაში, მე-2 და მე-3 კორპუსების არსებობის დადასტურება (საჯარო რეესტრის ამონაწერით)

ინდიკატორი 3.5.1.1.მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების სრულფასოვანი ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. კერძოდ, სკოლის პირველი და მეორე კორპუსი განთავსებულია ერთ მისამართზე, აქვთ საერთი სარგებლობის ეზო და ღია სპორტული მოედანი. მე-2 კორპუსში არის დიდი და კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია არსებულ მისამართზე მყოფი ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის, ორივე შენობაში არის სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო. სააქტო დარბაზი, რაც შეეხება ექიმის კაბინეტს განთავსებულია მე-2 კორპუსში. ასევე მე-2 კორპუსშია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რესურსის გადატანა ხდება მოძრავი ურიკების საშუალებით. მე-3 კორპუსი მდებარეობს მოშორებით, თუმცა აღნიშნული შენობის ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს საერთო სივრცეებისა და მატერიალური რესურსებზე ხელმისაწყდომბას. აქვს კეთილმოწყობილი სარეკრეაციო სივრცეები, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ღია და დახურული სპორტული მოედნები, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და რობოტექნიკის ლაბორატორიები, ყველა სივრცეში გათვალისწინებულია ინკლუზიურობა. შემუშავებულია ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესები.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ, სამივე შენობის შესასვლელი ადაპტირებული, ყველა შენობაში ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები ბიჭებისა და გოგონებისთვის. სკოლაში არის რესურსოთახი. მე-2 და მე-3 შენობაში შესაძლებელია ლიფტით მომსახურება. სამივე კორპუსის სპორტულ დარბაზში შესვლა შესაძლებელია ეტლით მოსარგებლისთვის. ადაპტირებული სააქტო დარბაზში.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ახალი (მე-2 და მე-3) კორპუსები თანამედროვე სტანდარტების მიხედვითაა აშენებული გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონები და თავისუფალი

სივრცეები სხვადასხვა შემეცნებითი და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად, რაც შეეხება პირველ კორპუსს რეაბილიტაციის შემდეგ აქაც შექმნილია სასიამოვნო და პოზიტიური გარემო, შენობის ფართო დერეფნები კარგად არის გამოყენებული სხვადასხვა სახის მცენარეების გამოსაფენად, რომელსაც მოსწავლეები უვლიან. სკოლის ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზები, სპორტული მოედნები, კომპიუტერული ლაბორატორიები, მათ შორის რობოტექნიკის, სკოლის ეზო და ფართო და ნათელი დერეფნები, საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარებისთვის, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და უზრუნველყოფს სკოლა ჩამოყალიბდეს ერთიან სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.

დაწყებითი საფეხური (პირველი კორპუსი)

ისტ-ის მიმართულებით- სკოლას აქვს კომპიუტერული კლასი სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ჭადრაკის სწავლებისთვის აქვს შესაბამისი რესურსები.

ბუნებისმეტყველებისთვის-სკოლას აქვს საბუნებიმეტყველო მიმართულებით თვალსაჩინოებები, დაწყებითების კორპუსში (I კორპუსი) არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, თუმცა სკოლა უზრუნველყოფს მე-2კორპუსდან მოძრავი ურიკებით საჭირო რესურსის გადატანას. (პირველი და მე-2 ორპუსები განვსებულია ერთ მისამართზე, ერთ ეზოში)

ფიზიკური აღზრდა- სკოლას აქვს სპორტული დარბაზი გასახდელებით, ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი, ტრიბუნებით და განათებებით

საბაზო და საშუალო საფეხურები: (მე-2 და მე-3 კორპუსი)

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

სკოლას აქვს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგიის ლაბორატორიები, აღჭურვილი საჭირო რესურსებით. ყველა ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი, სადაც განთავსებულია შესაბამისი საგნის აღჭურვილობა და უზრუნველყოფილია სველი წერტილებით. . ქიმიის ლაბორატორიაში არ იყო გამწოვი კარადა დამონტაჟებული, თუმცა ოთახს აქვსდიდი ფანჯრები და იძლეოდა განიავების საშუალებას. დაცული იყო რეაქტივების შენახვის პირობების. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი. ლაბორატორიებში არის ყველანაირი პირობა, კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად.

სპორტის გაკვეთილებისთვის- ორივე კორპუსში არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სპორტული დარბაზი გასახდელებით და საშხაპეებით. ასევე ეზოშია ღია სპორტული მოედანი. **კომპიუტერული კლასი**-საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის.
სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლის ბიბლიოთეკისთვის მე-2 და მე-3 კორპუსში გამოყოფილი აქვს კეთილმოწყობილი და საჭირო ინფრასტრუქტურით მოწყობილი სივრცეები. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.
სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა
წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი 20 სექტემბერი 2023 წელი
- მიღება-ჩაბარების აქტი 10/10/2021
- ინვენტარიზაციის ოქმები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 22/02/2019
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 26/08/2021
- ბიბილიოთეკის დებულება

- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნიშეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს ,, ციფრული განვითარების გეგმა“, რომელიც წარმოადგენს სკოლის ხედვას საგანმანათლებლო საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: კომპიუტერულ ტექნიკას; ელექტრონულ რესურსებს; მონაცემების მოგროვებასა და დამუშავებას; საგანმანათლებლო აქტივობებს; პრობლემების გადაჭრას (კიბერ უსაფრთხოება, ტექნიკური პრობლემები); ინიციატივებს.

ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ახლანდელი ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. ამჟამად სკოლაში, მუშა მდგომარეობაში არსებული კომპიუტერების რაოდენობაა 34 კომპიუტერი (სკოლას აქვს 90 კომპიუტერული კომპლექტი), რომლებიც გადანაწილებულია კომპიუტერების ლაბორატორიაში, ადმინისტრაციაში, ბიბლიოთეკაში, ასევე მუშა მდგომარეობაშია 5 ცალი ლეპტოპი. სკოლას აქვს 30 პროექტორი, ჭკვიანი დაფა-1, 3D პრინტერი-1, პრინტერი-14, ვიდეოგადამღები-2, ფოტოაპარატი-2. სკოლის შეფასებით, სრულფასოვანი ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის საჭიროა: მინიმუმ 50 ცალი კომპიუტერი(კომპლექტი), 30 ლეპტოპი და 30 პროექტორი. სკოლას ასევე აქვს მოძრავი ურიკები, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას სასურველ დროს გამოიყენოს პროექტორი. მომავალში სკოლა გეგმავს მოძრავი პროექტორების ჩანაცვლებას, სტაციონარული პროექტორებით.

მოსწავლეებისთვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს ორი კომპიუტერული ლაბორატორია, რამდენადაც კომპიუტერული ლაბორატორიები ძირითადდა ტექნოლოგიების საგნის სწავლებით არის დატვირთული, სკოლა გეგმავს ბიბლიოთეკებში მოაწყოს საზიარო სივრცეები, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ 9სთ-დან- 6 სთ.-მდე ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის შეფასებით მოსწავლეთა 5-10% გამოიყენებს საზიარო სივრცეს.

მასწავლებლებისთვის საზიარო სივრცეა სამასწავლებლო, რომელიც არსებობს სამივე კორპუსში. სამასაწავლებლოებში სულ არის 4 კომპიუტერი, რაც არ არის საკმარისი. სკოლა გეგმავს სამივე სამასწავლებლო აღჭურვოს საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით. ადმინისტრაციას ცალკე საზიარო სამუშაო სივრცე არ ჭირდება, რადგან ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით.

მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი.

სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. WiFi სისტემა უზრუნველყოფს სკოლის შენობის ინტერნეტით დაფარვას. ინტერნეტის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, შიდა უსადენო და სადენიანი ქსელის მოწყობას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას, სკოლაში არსებული ყველა კათედრა აქტიურად იყენებს ციფრულ რესურსებს, როგორიცაა საპრეზენტაციო პროგრამა, კურიკულუმებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსებისთვის შესაბამის საგანმანათლებლო აპლიკაციები. სკოლას გააჩნია მასწავლებლის პლატფორმა, სადაც განთავსებულია კურიკულუმები, შემაჯამებელი წერების ანალიზები, განხორციელებული პროექტები და სხვა. აღნიშნული პორტალი საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის, შეფასების და ხელს უწყობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებას. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებს სასკოლო საზოგადოებისა, თემის ინფორმირებისთვის და საკომუნიკაციოდ. სკოლა გეგმავ ვებგვერდზე დაამატოს ონლაინ გამოკითხვის კითხვარების მოდული, ეფექტური კომუნიკაციისა და უკუკავშირისთვის. რაც შეეხება კიბერ უსაფრთხოების და ტექნიკური პრობლემების უზრუნველსაყოფად, სკოლას გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო აქტივობები, როგორც მოსწავლეებში, 1-6 საგნის სწავლების ფარგლებში და მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებით.

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი და სკოლის ადმინისტრაცია, ასევე მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეების ჩართულობა ამ ტიპის პრობლემების მოგვარებაში. კერძოდ, ტექნოლოგიური კლუბის ბაზაზე შექმნილია მოსწავლეთა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ, გარკვეული ტიპის ტექნოლური პრობლემის აღმოფხვრაში.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე არსებული კომპიუტერების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის საჭიროების დაკმაყოფილებას კომპიუტერული ტექნიკით, თუმცა რამდენადაც სკოლა გააზრებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის როლი სასწავლო პროცეში და წარმოადგინა ,,ციფრული განვითარების გეგმა“ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ციფრული განვითარების გეგმიდან, ჩანს, რომ სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცეები, ორი კომპიუტერული ლაბორატორია. სამი სამასწავლებლო და ორი ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა და შესაძლებელია მისი მიზნობრივი გამოყენება, სკოლის მიერ შემუშავებული ,,სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესი მოიცავს ინფორმაციას სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების შესახებ და ზოგად წესებს

რესურსებით სარგებლობით, ასევე ბიბლიოთეკით და კომპიუტერით, ინტერნეტით სარგებლობის წესებს. სკოლა განსაზღვრული ჰყავს ამ წესის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმით
- სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესით
- სკოლის ვებგვერდი
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 03-03/96 16.09.2022 დომეინური სახელის სარგებლობაზე
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 03-06/102 17/10/2022 ვირტუალური ჰოსტინგის გამოყოფის შესახებ.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქციები შემუშავებულია ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. იგი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებს, ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის სისტემას. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია სკოლის კანცელარიის თანამშრომელი-საქმისმწარმოებელი, რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას. საქმისწარმოების მასალების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხდება შესაბამისი ინსტრუქციების გათვალისწინებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლის პერსონალთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებას მინიჭებული ჰქონდა სარეგისტრაციო ნომერი, თუმცა სკოლაში არ არსებობდა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. საქმისწარმოების ინსტრუქციების შესაბამისად ხელშეკრულებები არ შედის იმ დოკუმენტების ჩამონათვალში, რომელთა ელექტრონულ აღრიცხვას და რეგისტრაციას ახდენს საქმისმწარმოებელი. სასურველია, სკოლამ, რამდენადაც ხელშეკრულებები არ ექვემდებარება ელექტრონულ აღრიცხვას და რეგისტრაცია, უზრუნველყოს მისი მატერიალური ფორმით რეგისტრაცია, საქმისწარმოების წესის შესაბამისად და განსაზღვროს ხელშერულებების აღრიცხვასა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. .სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული საჭირო ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაცია. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას.

წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. კერძოდ, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ხარვეზის გამოსწორების მასალებს. თანამშრომლობს ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრთა დროულად აწვდის ინფორმაციას საფეხურის დაძლევის, მედალოსნების, ექსტერნის გამოცდებისა სხვა მნიშვნელოვან დავალებებზე.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 აპრილის 01-02/39 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქმისწარმოების ინსტრუქციები“
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური

მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ვებგვერდი pmc.edu.ge და ფეიბუქგვერდი, https://www.facebook.com/physicsmathschool , რომლებიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია

2 . სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე განთავსებულია სკოლის სასკოლო სასწავლო და გაძლიერებული სწავლების ცენტრში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VII-VIII-IX-X კლასის მოსწავლეთა ჩარიცხვის და გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურები. ფეისბუქგვერდზე განთავსებულია სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი მასალები და ინფორმაცია ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის შესახებ. ვებგერდის და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგები პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ და სანდო ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სადაც გაწერილია მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები. კერძოდ, მშობელთა კრებები, Teams-ის ან Zoom-ის პლატფორმა; ელექტრონული ჟურნალები; ყოველდღიური კომენტარები; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი. სოციალური ქსელი, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი და ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებების და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა) . ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმის“ მიხედვით ვებგვერდზე იგეგმება კითხვარების და გამოკითხვების მოდულის ჩაშენება. რაც

კიდევ უფრო გაამარტივეს კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი იძლევა უკუკავშირის მიღების საშუალებს, კერძოდ შესაძლებელია წერილის მიწერა, ასევე ვებგვერდზე არის ელ.ფოსტის მისამართი და გამოქვეყნებულია სკოლის ტელეფონის ნომერიც. სკოლა უკუკავშირის შედეგებს გათვალისწინებს საქმიანობის შესაფასებლად და გაუმჯობესების გზების დასახვისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი pmc.edu.ge , რომელზეც განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, თუმცა სასურველია, ვებგვერდზე სკოლის სტრუქტურა ასევე განთავსდეს სქემის სახით. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები და სკოლის მიერ განსახორციელებელი პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, მათ შორის გაძლიერებული ფიზიკის და მათემატიკის პროგრამები. განსაზღვრულია პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. საფეხურის დაძლევის პირობები. შეთავაზებული სერვისები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. გასაჩივრების მექანიზმები გვხვდება სკოლის შინაგანაწესში და ,,გაძლიერებული სწავლების ცენტრში ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულებების VII-VIII-IX-X კლასის მოსწავლეთა ჩარიცხვის და გამოცდების ჩატარების წესში. რამდენადაც სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია ფინანსური მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში ჯერ სკოლას არა აქვს . შესაბამისად ინდიკატორი ვერ ფასდება/

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებგვერდი pmc.edu.ge

- სკოლის ფეისბუქგვერდი https://www.facebook.com/physicsmathschool
- მასწავლებლის პორტალი
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (კომუნიკაციის სტრატეგიები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინაnსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული სტრუქტურა, სკოლის დირექციას სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესასყიდის შესახებ. სკოლას ამ ეტაპისთვის სამოქმედო გეგმა არა აქვს შემუშავებული, ამიტომ მომავალი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, რამდენად

იქნება ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი შეუძლებელია შეფასდეს. თუმცა დირექტორი ანგარიშიდან ჩანს, რომ დამდეგი სასწავლო წლისთვის განსაზღვრული ისეთი მიზნობრივი ხარჯებიც, რომლებიც სავარაუდოდ მოიაზრება, რომ აისახოს ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ბათუმის მე-6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის 2023 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8 29/12/2022 დირექტორი მ/შ ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციებით, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესში გაწერილი ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებისა და დისციპლინური წარმოების წესის შესახებ. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიმსის პლატფორმის გამოყენებისას. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა კონტროლის მექანიზმები, სადაც განსაზღვრავს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების, ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხარისხის მონიტორინგის წესებს. მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, მოსწავლეთათვის ქვიზებისა და მისაღები გამოცდების ჩატარებისა და გასაჩივრების წესები, სემესტრული და ექსტერნის

გამოცდის ჩატარების მექანიზმები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. სკოლაში, დირექტორის ბრძანების შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა რეფერირების პროცედურა, განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც ატვირთულია სკოლის შინაგანაწესი, მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტრში მოსწავლეთა ჩარიცხვის და გამოცდების ჩატარების წესი, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა-პროექტი, სასკოლო სასწავლო გეგმა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შიდა სივრცეში გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია.
ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, არის მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია საჯაროდ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის შიდა კონტროლის განხორციელების წესისა და ფორმების შესახებ დებულება (დამტკიცებული ბრძ. №01-02/30 20.03.2023)
- სკოლის ვებ.გვერდი http://pmc.edu.ge/skola/index.php
- სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია (დამტკიცებული ბრძ. №01-02/68. 01.07.2023)
- სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები (დამტკიცებული ბრძ. №01-02/14 15.02.2021წ.)
- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/13 სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები (დამტკიცებული ბრძ. №01-02/80 14.07.2023წ)
- სკოლის დირექტორის ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/13 სსიპ ქალაქ თბილისის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
- სკოლის თვითმმართველობის დებულება (დამტკიცებული ბრძ. №01-02/43 23.04.2023წ.)
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სკოლის მოსწავლეთა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება, სკოლის დირექტორის მიერ დატკიცებული ,,საგამოცდო წესის“ შესაბამისად, რომელიც ქვეყნდება სკოლის ოფიციალურ ვებ.გვერდზე. ჩარიცხვა ხდება საბაზო საფეხურიდან. საბაზო, საშულო საფეხურის გაძლიერებულ პროგრამებზე, კლასიდან-კლასში დაგაყვანა ხდება განსხვავებული წესით ე.წ „ქვიზისს“ დაძლევით, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო ეგემაში და გამოქვეყნებულია სკოლის ვებ/გვერდზე. ინფორმაცია გამოცდების შესახებ ასევე გაზიარებულია სკოლის ფეისბუქგვერდზეც.
მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება და საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა, მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრებას მონიტორინგს უკეთებს კლასის დამრიგებელი. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებული აქვს გაძლიერებულ პროგრამებზე ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის წესები, ხოლო სხვა შემთხვევაში ეყრდნობა ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს“.

მიზანშეწონილია სკოლამ ერთიანი დოკუმენტის სახით შეიმუშაოს ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა წესი“, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება სკოლის სპეციფიკა. კერძოდ, ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადასვლის ნორმები.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4..1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ნიშანები საშუალოზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის ბოლომდე (ან მომდევნო სასწავლო წელს) აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, რათა მოსწავლემ შეძლოს საფეხურის წარმატებით დაძლევა. დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე მოცემულია გაძლიერებული მათემატიკისა და ფიზიკის პროგრამები/სასწავლო გეგმა. სკოლის ვებ.გვერდზე მოცემულია ინფორმაცია კონკურსებისა და სასკოლო კლუბების შესახებ. ასევე, ამ კლუბების მუშაობის გრაფიკი. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები და პროექტები. ვებ. გვერდის საშუალებით, ხელმისაწვდომია ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორი 4..1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდზე განთავსებულია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. ასევე, დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნონ.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/07 (16.01.2023) ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში არსებული ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მე-7 და მე-8 კლასში მოსწავლეების ჩარიცხვის მიზნით საგამოცდო წესის დამტკიცებისა და ნამუშევრების გასწორებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/50 (23.05.2023წ) სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასში 2022-2023 სასწავლო წლის ივნისის თვის მათემატიკის ქვიზის ჩატარების მიზნით კომისიის, განრიგისა და ქვიზის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ
- ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულება №04-05/292 (29.12.2022წ)
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სკოლის ვებ. გვერდი http://pmc.edu.ge/skola/index.php

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს, „სკოლაში მოსწავლის ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცესების მართვის წესი“, სადაც აღწერილია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. სსსმ მოსწავლის, ეთნიკური უმცირესობის, სოციალურად დაუცველი და იმ მოსწავლეების, რომლელთაც ფსიქოლოგიური სტრესის გადატანა მოუხდათ. სკოლაში შემოსვლისთანავე დგება ტრანზიციის გეგმა. ტრანზიციის საფეხურებია: მოსწავლის პირველ კლასში რეგისტრაცია; ოჯახისა და ბავშვის მზადება

სკოლისთვის; სკოლის მზადება ბავშვების უმტკივნეულო ტრანზიციისთვის. ტრანზიციის პროცესში მონაწილეობს სკოლის დირექცია, სპეციალური მასწავლებელი, ასისტენტი და ნებისმიერი სხვა საჭირო თერაპიის სპეციალისტი.

სკოლა, ყველა ახალგადმოსულ მოსწავლეს უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობელს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებზე. სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს.

სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტში.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. „სკოლაში მოსწავლის ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცესების მართვის წესიდან“ და სკოლის თანამშრომელთა ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები ხელს შეუწყობს სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. კერძოდ, დამრიგებლები გამოიყენებენ ანკეტირებას და კითხვარებს მშობლებისთვის, მასზე დაყრდნობით წარიმართება ურთიერთობა მშობელთან და მოსწავლეებთან და დაიგეგმება განსახორციელებელ აქტივობები.

ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანია დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კომუნიკაციას მოსწავლის მშობელთან. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს ადრეული განვითარების სპეციალისტებთან, ფსიქოლოგებთან, ქცევის თერაპევტებთან. ამგვარად, სკოლას აქვს მზაობა, უზრუნველყოფს მოსწავლეების უმტკივნეულო ადაპტაციის პროცესის მართვა.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებული

3.დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია დამრიგებლის ვალდებულებები, გააცნოს მოსწავლეს/მშობელს სასკოლო სასწავალო გეგმა, სადაც გაწერილია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმები. კერძოდ, სემესტრის მიმდინარეობისა და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან ინდივიდუალურად მიაწოდონ მშობლებს ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები, დამატებითი ქვიზები. აღნიშნულთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის ვებ.

გვერდზე, აგრეთვე ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ მშობელთან კომუნიკაციის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესების მართვის წესი.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებული

4. მოსწავლის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით სკოლა უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმებით. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა წინასწარ განსაზღვრავს სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესებსა და პირობებს, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. იგი ასევე საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ვებ.გვერდზე. მისაღები გამოცდების წესებსა და პირობებს ადგენს სკოლის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში და უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებული

5. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებ-გვერდზე და ფეისბუქგვერდზე. სკოლაში ფუნქციონირებს და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას შემდეგი კლუბები: ნორჩ ტექნიკოსთა წრე ფიზიკაში, უცხოური ენის (რუსული) კლუბი -„ფენიქსი“, სამოქალაქო განათლების კლუბი - „ სხივი“, ბიოლოგიის კლუბი - „ ნატურა“, ქიმიის კლუბი - „ ლაკმუსი“, კალათბურთის კლუბი - „ ალგორითმი“, კლუბი კომპიუტერულ ტექნოლოგიებში (VIII-XII კლასი) - „კოდირება პითონზე“, მათემატიკის წრე (7-9 კლასი), მათემატიკის წრე (5-6 კლასი) და გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის სწავლების ცენტრი, რომელიც დაფინანსებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. ყოველ წელს იქმნება სკოლის ღონისძიებათა ჩატარების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. კერძოდ: სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ორმხრივად მისაღები ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით; კიევის უნივერსიტეტთან, პროგრამის შესწავლისა და კვლევითი ინფორმაციის გაცვლის მიზნით; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან,

მიმდინარე ევროკავშირის დელეგაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეთა სასკოლო კლუბების ქსელში ჩართვის შესახებ და სხვა.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. ნიმუშის სახით, სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის მშობელთა კმაყოფილების კითხვარი და შესაბამისი რეფლექსია. სკოლას აქვს მასწავლებლის პორტალი, სადაც მასწავლებლები ტვირთავენ გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს, რეფლექსიებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზებს, ურთიერთდასწრების შევსებულ ფორმებს. ყოველივე ეს სრული სახით ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლის დირექციისთვის, სკოლა ახორციელებს დაკვირვებებს, აფასებს გაკვეთილს, მასწავლებელს, გამოყენებულ მეთოდებსა და ახდენს მასზე სათანადო რეაგირებებს.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლა იკვლევს და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 ივლისის №01-02/80 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ცალკეული საქმიანობების წარმართვის წესები, მათ შორის „სკოლაში მოსწავლის ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცესების მართვის წესი“,
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სკოლის მშობლებთან ურთიერთობის (კომუნიკაციის სტრატეგია) დებულება (დამტკიცებული ბრძ: №01-02/12 15.02.2021წ.)
- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/07 (16.01.2023) ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში არსებული ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მე-7 და მე-8 კლასში მოსწავლეების ჩარიცხვის მიზნით საგამოცდო წესის დამტკიცებისა და ნამუშევრების გასწორებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ

- სკოლის დირექტორის ბრძანება №01-02/50 (23.05.2023წ) სსიპ ქალაქ ბათუმის #6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასში 2022-2023 სასწავლო წლის ივნისის თვის მათემატიკის ქვიზის ჩატარების მიზნით კომისიის, განრიგისა და ქვიზის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ
- სკოლის ვებ. გვერდი http://pmc.edu.ge/skola/index.php
- ღონისძიებების ელექტრონული ჟურნალი
- სკოლის თვითმმართველობის დებულება (ბრძ. №01-02/42 23.04.2023წ)

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით მრავალ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. კერძოდ, სკოლა ჩართულია პროექტში, რომლის მიზანია ტექნოლოგიური ცოდნის და ინტერესების გაღრმავება და თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესება. აღნიშნული პროექტი ხორციელდება „ევროკავშირი საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.
საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერების განხორციელება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლების მიერ იგეგმება სამეცნიერო პოპულარული ლექციების ჩატარება მოსწავლეებისათვის, მხარდაჭერილია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებს, საკლუბო და საწრეო მუშაობას. სკოლისთვის მნიშვნელოვანია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართულობა, შესაბამისად სკოლა, მშობელთა კრებების, ვებ.გვერდისა და სოციალური ქსელის (ფეისბუქ გვერდი: „ბათუმის ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა“) დახმარებით აწვდის მათ ინფორმაციას მოსწავლეთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა სხვადასხვა კოლეჯებისა და უმაღლესი განათლების სანდო ინფორმაციას.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს. რამდენადაც სკოლა ფიზიკა-მათემატიკის მიმართულებით გაძლიერებულ სწავლებას ახორციელებს, სკოლის მოსწავლეები ძირითადად ამ მიმართულების ირჩევენ პროფესიას, რაშიც სკოლის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარებათ ფორმალური თუ არაფორმალური კომპონენტის გაძლიერებით.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კიევის უნივერსიტეტთან;
- მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;
- მემორანდუმი ინფორმაციისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოსთან;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზურაბ დუმბაძეს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ჰოსტის ფუნქციებთან დაკავშირებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სკოლის ვებ. გვერდი http://pmc.edu.ge/skola/index.php
- სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/physicsmathschool

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც გაწერილი სსსმ და შშმ პირის ტრანზიციის დანერგვისა მექანიზმები. ასევე კონფიდენციალური და ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულებები მხარეებთან ურთიერთობის დროს.
სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პრინციპები; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, გაცდენების აღრიცხვისა და დასწრების წესი. სსსმ მოსწავლეების შინ სწავლებისა და მათი წახალისების მექანიზმები. ნიმუშის სახით წარმოდგენილია ისგ-ს ფორმა. შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამზადებს შიდა მონიტორინგის დასკვნას და გასცემს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს სსსმ მოსწავლეების უმტკივნეულო ტრანზიციის მიზნით. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი, მოსწავლის ასისტენტი, სხვადასხვა

საჭიროების თერაპევტი. ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სსსმ პირთა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- სსსმ მოსწავლის ტრანზიციის გეგმა

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის ეტაპისთვის სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება არის კვების ობიექტი, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. წარმოდგენილია კვების ობიექტის ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ტრანსპორტირების საჭიროებაა სკოლის მე-3 კორპუსის მოსწავლეებისთვის. სკოლა ყოველწლიურად მიმართავს ქალაქ ბათუმის რესურსცენტრს, აწვდის მას სასწავლო წლისთვის ტრანსპორტის მომსახურებასთან საჭირო ინფორმაციას, მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სკოლა დამატებითი მომსახურეობის სახით მოსწავლეებს სთავაზობს, კვებას. სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი და სურვილის მიხედვით შეუძლია მოსწავლეებმა მიიღონ აღნიშნული მომსახურეობა. რაც შეეხება ტრანსპორტირებს, განკუთვნილია მე-3 კორპუსში მოსწავლეებისთვის, რომელიც მდებარეობს ქალაქის გარეუბანში. დირექტორის განმარტებით, წინასწარ განსაზღვრული ლოკაციიდან ხდება მოსწავლეების უსაფრთხო გადაყვანა მე-3 კორპუსში. ბათუმის რესურსცენტრთან მიწერილ წერლში ჩანს, რომ სკოლას სჭირდება სატრანსპორტო მომსახურება 150 მოსწავლეზე. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობა წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი, რომელიც სკოლას იჯარით აქვს გაცემული. სკოლის დირექცია მონიტორინგს უწევს ბუფეტის მუშაობას. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობას აწარმოებს სკოლის ექიმი. სკოლის დირექტორის განცხადებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების პერიოდული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხდება ბუფეტის მუშაობის შეფასება და კვების ობიექტის მომსახურების გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეაგირება. ტრანსპორტირების დროს დაცულია კანონით გათვალისწინებულის ნორმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №2 სასკოლო ბუფეტისთვის ფართის იჯარით გაცემის თაობაზე (05.09.2022წ.)
- კვების ბლოკის სანიტარული ნორმების მონიტორინგის აღრიცხვის ჟურნალი
- ამონაწერი ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრიდან
- აუდიტორული დასკვნა საიჯარო ფართზე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ნებართვა ფართის იჯაროთ გაცემაზე;
- MES 6 22 0000802197 წერილი ბათუმის რესურსცენტრს, ტრანსპორტირების შესახებ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხური

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლამ წარმოადგინა, დირექტორის ბრ. 01-02/83-ით დამტკიცებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" დოკუმენტის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.
   სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებშიც გაცხადებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში მკაფიოდ ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კერძოდ, საათობრივ ბადეში მე-6 კლასში ესგ-სთან შედარებით გაზრდილია მათემატიკის საათების რაოდენობა. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით აღწერილი მოსწავლის განვითარების გზა (გრძელვადიანი მიზნები, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, რესურსები) ხელს უწყობს მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ დაეხმარება საბაზო-საშუალო საფეხურზე ფიზიკა-მათემატიკის გაღრმავებული პროგრამის დაძლევაში. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას და მათი ინტერესების კვლევას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე შექმნილია კლუბები და წრეები, იგეგმება არაფორმალური აქტივობები. სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არა საგაკვეთილო დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა.

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის, სადამრიგებლო პროგრამის, კლუბების დებულებებისა და გეგმების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი, სადაც განხილულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები, თუ როგორ გეგმავენ მეთოდოლოგიის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლისთვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს კურიკულუმების შემუშავების პროცესში თავიანთ როლსა და ჩართულობაზე. სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით,

დაწყებითი კათედრის ოქმით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნითა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს- ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ინტერაქტიური კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია კათედრებზე მასწავლებლების ერთობლივი მუშაობით, მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ.

   კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმით, მშობელთა გამოკითხვის ფორმებით, სკოლის ვებგვერდით და დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი № 6
4. მშობელთა კითხვარის ფორმა
5. სკოლის ვებგვერდი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით დასტურდება, რომ სწავლება იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას.

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.

   აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მათთან დაკავშირებული საკითხები და კომპლექსური დავალებები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში თემის ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად მოსწავლეებს ეძლევათ წარსადგენი პროდუქტის არჩევის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილების ციკლი, რომელსაც პირველ რიგში ახორციელებენ სკოლის ლიდერი მასწავლებლები და გამოცდილების გაზიარების შემდეგ მთელი კათედრა. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება. კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, თემის ფარგლებში

მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით კომპლექსური დავალების პირობის და აქტივობების გამარტივების. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სპეციალური მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნის მასწავლებელთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ისგ-ს გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია

4. წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კათედრის პედაგოგებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან, აქტივობებზე მორგებულ რუბრიკებსა და ინსტრუმენტებს. (ურთიერთ შეფასება, თვითშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური სქემები, სოლო ტაქსონომია), პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-5 და მე-6 კლასებისთვის) შეფასების რუბრიკების გამრავალფეროვნებას თითოეული თემის ფარგლებში.

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სკოლას აქვს შიდა მოხმარების ელექტრონული პლატფორმა, სადაც ატვირთულია მასწავლებლების ანგარიშები და რეფლექსიები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც დირექციისთვის, ასევე კურიკულუმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფისთვის. აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის

საბოლოო ვერსიაში. დაწყებითის კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სასკოლო კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების შემუშავების საკითხი და მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესი.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, ელექტრონულ პლატფორმაზე წარმოდგენილი მასალებით, დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ელექტრონული პლატფორმაზე წარმოდგენილი ანგარიშები და რეფლექსიები
- დაწყებითი კათედრის ოქმი
- სამუშაო შეხვედრის ოქმი დიფერენცირებულ სწავლებაზე;
- დაწყებითი კათედრის წლიური ანგარიში
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა დაინტერესებას. დაწყებითი საფეხურის სასწავლო კორპუსის დათვალიერებით დგინდება, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში,

მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რაც ცხადია ხელ უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, უზრუნველყოფს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კულტურისა და საკლასო კლიმატი ჩამოყალიბებას და მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

ინდიკატორი 2.2.1.1დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში.

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. არჩეულია კომპლექსური დავალებების განხორციელება ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, „შექმენი სამი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში შენი ოთახისთვის“, ,,დაეხმარე წითელქუდას“, „ყვავილნარის დაგეგმარება“, ან კიდევ „სამი ძმის ამოცანა სახლების დაპროექტებაზე“ , ამგვარი დავალებები განაპირობებს მოსწავლეებმა მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს რომ, თემის ფარგლებში გაწერილია კონტექსტ მაგალითები, შედარების მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, რომლებზე ფიქრი და მუშაობა, ასევე კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს ახსნას, მსჯელობასა და დასაბუთებას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნათა ორგანიზება. ასევე, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუმ და დაწყებითი კათედრის წლიურმა ანგარიშმა აჩვენა, რომ დაწყებითების კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(მათემატიკა და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, მათემატიკა და ქართულის საგნებს შორის) .

   დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- დაწყებითი კათედრის წლიური ანგარიში
- შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და ქვეცნებები, თემების ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ცნებებთან დაკავშირებული შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ცნებების მიხედვით თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხისა და ქვესაკითხებთან მიმართებით.

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოსა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნებების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ასევე, სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას, პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობას და სანდოობას.

   სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. როგორც დასკვნის პროექტში ავღნიშნეთ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადა გაიწერებოდა შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები.

2.2.2.5 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (01.09.2023-15.09.2023). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავება..

ინდიკატორი 2.2.2.5 მეტწილ შესაბამისოაშია.

6. პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმებში, გაწერილია ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი, სადაც ხდება მოსწავლის შეფასების აღრიცხვა. ასევე, დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი ყოველი წლის ბოლოს ავსებს მოსწავლის პირად საქმეს, გადააქვს წლიური შეფასებები . დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასება ყოველი წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში ინახება, გარდა ამისა სემესტრული განმავითარებელი შეფასებები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. შემაჯამებელი წერების ანალიზები ასახულია მასწალებლის პორტალზე. მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია, საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმეთამმართველთან. ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმებით“ განსაზრვრულია პირადი საქმის შენახვის ვადები 75 წელი.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- შეფასების რუბრიკები
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სპეციფიკური მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. ასევე, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მასწავლებლებისთვის თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის, შეფასების რუბრიკების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რაც იძლევა მოსწავლეთა ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირების შესაძლებლობას. ასევე, მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა. სკოლაში ტარდება არაფორმალური აქტივობები, ფუნქციონირებს კლუბები და წრეები.

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3. საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს. სკოლაში მუშაობს ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მასწავლებლები გაკვეთილებზე ესწრებიან ერთმანეთს და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ ისინი რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ცდილობენ საერთო პრობლემული საკითხების შესახებ ერთობლივად მოიძიონ გადაჭრის გზები. აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება და გეგმავენ მის სამომავლოდ გამოყენებასაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებასაც.

   დაწყებითი კათედრის შეხვედრის ოქმების, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4. მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც იკვლევს მშობლების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების ხარისხს. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს იწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.
კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურს კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კითხვარი
- კათედრის შეხვედრის ოქმი
- დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა პირველად ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგი და შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან. უკავშირდება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას. კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება.
   კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით სკოლა იაზრებს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობას და აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
   ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.
2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგები მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. კერძოდ, მეთოდოლოგიის დოკუმენტში საუბარია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე დაყრდნობით, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელი გზების დასახვა.

დაგეგმილია მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასება მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე მის დასრულებამდე, რაც დასტურდება კათედრის ოქმებით. სკოლის ბაზაზე უზრუნველყოფილია მასწავლებლის პროფესიული განვითარება და თანამშრომლობის გაძლიერება, წარმოდგინილია მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი ფორმები, სადაც აღწერილია გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება. სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს? ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას? რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დირექტორი ბრძანება 01 დეკემბერი 2020 წ,ბრძანება N1-02-44, სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის შესახებ
- დაწყებითი კათედრის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ მოსწავლეების შეფასება მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტით არ ხდება. არამედ, გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების მიმდინარეობის პროცესი. მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმაზე ატვირთულია ანგარიშები, რეფლექსიები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომლებსაც დირექცია იყენებს სასწავლო პროცესის შესაფასებლად. .დამრიგებლის ელექტრონული სამუშაო რვეულიდან ჩანს, რომ შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლე შეაფასონ ჰოლისტურად, რაც გულისხმობს მის შეფასებას მეტაკოგნიტურ, პიროვნულ, ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ სხვა უნარების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა გამოკითხვის ფორმა, მასწავლებლის მასტიმულირებელი საქმიანობის შეფასების მექანიზმები. როგროც სკოლის ვებგვერდიდან ჩანს, სკოლის მასწავლებლებს აქვს კვლევების ჩატარების გამოცდილება. პრობლემების იდენტიფიცირებისთვის იყენებენ პროცესზე დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდებს.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დოკუმენტაციით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორებზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარები:

კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები, რაც დასტურდება დაწყებითი კათედრის სხდომის ომით

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასებისას სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია შეფასებები. რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. კერძოდ, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიუირება იძლევა საშუალებას შეფასების პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთონ, ისე რომ მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობა სკოლის თემისთვისაც სასარგებლო გახდეს. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებით ადგენენ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმაზე განთავსებული ანგარიშები, რეფლექსიები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- დამრიგებლის ელექტრონული რვეული
- მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმა
- შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის მექანიზმები. კერძოდ, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა და დირექციის მუშაობა. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას, რეფლექსიას და გაუმჯობესების გზების დასახვას. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე იქმნება კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც წარმოადგენს შეთავაზებათა რეკომენდაციებს, რაც სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებისას და სკოლის ერთწლიან

სამოქმედო გეგმაში.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, ჩანს სკოლის მზაობა, უზრუნველყოს არსებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზია, შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწნებით.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის რევიზიის ეტაპს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის განმავლობაში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილების, შეფასების შედეგად დანახული მიგნებების ასახვას ახალი სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სკოლა აცხადებს მზაობას, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასების შედეგად გადამუშავებული ვერსია წარუდგინოს სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება *(საბაზო საფეხური)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

IV. საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	☒ შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის N 6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სკოლის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და მიდგომებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.
სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, საგნობრივი კურიკულუმებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს სპეციპიკური მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებშიც გაცხადებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის კურიკულუმში/კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში მკაფიოდ ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კერძოდ, საათობრივ ბადეში მე-7-9 კლასებში ესგ-სთან შედარებით გაზრდილია მათემატიკისა ფიზიკის საათების რაოდენობა. საბაზო საფეხურის კურიკულუმებით აღწერილი მოსწავლის განვითარების გზა (გრძელვადიანი მიზნები, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, რესურსები) ხელს უწყობს მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ დაეხმარება საბაზო საფეხურზე ფიზიკა-მათემატიკის გაღრმავებული პროგრამის დაძლევაში. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას და მათი ინტერესების კვლევას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით საბაზო საფეხურზე შექმნილია კლუბები და წრეები. სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა.

საგნობრივი კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამის, კლუბების დებულებებისა და გეგმების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები, სადაც განხილულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები, თუ როგორ გეგმავენ მეთოდოლოგიის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლისთვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს კურიკულუმების შემუშავების პროცესში თავიანთ როლსა და ჩართულობაზე.

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, კათედრის ოქმით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნითა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს- ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ინტერაქტიული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრებზე მასწავლებლების ერთობლივი მუშაობით, მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკუკუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები
- .სკოლის ვებგვერდი
- .მშობელთა კითხვარის ფორმა
- დამრიგებლის ელექტრონული ჟურნალი

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სავალდებულო თემები. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. ინტერვიუირების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკა და ფიზიკა გაძლიერებულად ისწავლება, კომპლექსური დავალებებით თემების დაფარვამ დიდი ინტერესი და მოტივაცია გამოიწვია მოსწავლეებში. პროექტული შინაარსის დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმით მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები და კონტექსტ მაგალითები. ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და

მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეებთან ჯგუფებში მუშაობის, და კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მათთან დაკავშირებული საკითხები და კომპლექსური დავალებები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმით თემის ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად მოსწავლეებს ეძლევათ წარსადგენი პროდუქტის არჩევის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, უზრუნველყოფენ თემის ფარგლებში მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით გამარტივებულია კომპლექსური დავალების პირობისა და აქტივობების შექმნას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სპეციალური მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნის მასწავლებელთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ისგ-ს გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებებს. ასევე, კომპლექსურ დავალებებს თან ერთვის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის რუბრიკებიც. გასაუბრებით ირკვევა, რომ

მასწავლებლებს აქვთ მზაობა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა სასწავლო თემისთვის შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმით, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სკოლას აქვს შიდა მოხმარების ელექტრონული პლატფორმა, სადაც ატვირთულია მასწავლებლების ანგარიშები და რეფლექსიები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც დირექციისთვის, ასევე კურიკულუმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფისთვის. აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სასკოლო კურიკულუმებისა და თემატური მატრიცების შემუშავების საკითხი და მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესი.

   კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, მასწავლებლის ელექტრონულ პლატფორმაზე წარმოდგენილი მასალებით, კათედრის სხდომის ოქმითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.

   ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
- ელექტრონული პლატფორმაზე წარმოდგენილი ანგარიშები და რეფლექსიები
- საბაზო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად აღნიშნული ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რაც ცხადია ხელ უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას. ინტერვიუსას მასწავლებლებმა ისაუბრეს საინტერესო პროექტებზე რომელსაც ახორციელებდნენ ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ცენტრის ბაზაზე.
საბაზო საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობი კონტექსტისა და შედარების მაგალითების შეთავაზებას, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რაც მიუთითებს სასწვალო პრიცესში სწავლის სწავლა სტრატეგიების გამოყენებაზე

საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. . სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, კომპლექსური დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. საბაზო საფეხურის კურიკულუმები შეიქმნა ცხოვრებისეული კონტექსტის კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, მაგ: „რეკრეაციული ზონის მოწყობა-დაგეგმარება“,“მაღალი ობიექტის სიმაღლის დადგენა“ და სხვა, ამგავრი დავალებები მოსწავლეებს ეხმარება მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება. ამავე მიზანს ემსახურება პროექტული ტიპის აქტივობები და პრობლემაზე ორიენტირებული სწალება.

საბაზოსაფეხურის კურიკულუმით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომლექსური დავალების პროდუქტებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, საბაზო საფეხურის კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(მათემატიკა და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, მათემატიკა და ფიზიკის საგნებს შორის). აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საბაზო საფეხურის კურიკულუმით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომლექსური დავალების პროდუქტებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. შეფასების რუბრიკები
3. კომპლექსური დავალებების პირობები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და ქვეცნებები, თემების ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ცნებებთან დაკავშირებული შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. ფიზიკის და მათემატიკის კურიკულუმში გაწერილი საკითხები იძლევა საგნის გაღრმავებული სწავლების შესაძლებლობას. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ცნებების მიხედვით თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხისა და ქვესაკითხებთან მიმართებით.
საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოსა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. მათემატიკის სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, ასევე დამატებითი თემებიც, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებლია

3. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნებების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწვალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე, კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ასევე, სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. სკოლაში ფიზიკასა და მათემატიკაში სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ტარდება ქვიზით შეფასება, რომლისთვისაც შეფასების სქემა ისეა გააზრებული და გაწერილი, რომ სხვადასხვა შემფასებელი ადვილად მიდის საერთო შეფასებასა და შეთანხმებამდე, რაც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას. შეფასების კრიტერიუმების მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ სეფასების ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვას.

სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. როგორც დასკვნის პროექტში ავღნიშნეთ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადა გაიწერებოდა შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები.

2.2.2.5 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (01.09.2023-15.09.2023). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.
სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავება..
ინდიკატორი 2.2.2.5 მეტწილად შესაბამისი.

6. პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმებში, გაწერილია ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი, სადაც ხდება მოსწავლის შეფასების აღრიცხვა. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი ყოველი წლის ბოლოს ავსებს მოსწავლის პირად საქმეს, გადააქვს წლიური შეფასებები . შემაჯამებელი წერების ანალიზები ასახულია მასწალებლის პორტალზე. მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია, საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმეთამმართველთან. ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმებით“ განსაზღვრულია პირადი საქმის შენახვის ვადები 75 წელი.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- საბაზო საფეხუეის კათედრის სხდომების ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სპეციფიკური მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილი კომლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მასწავლებლებისთვის თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწვლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
   საბაზო საფეხურის კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.
   ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რაც იძლევა მოსწავლეთა ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირების შესაძლებლობას. ასევე, მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა. სკოლაში ტარდება არაფორმალური აქტივობები, ფუნქციონირებს კლუბები და წრეები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წარიმართება მოსწავლეზე ორინტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3.საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს. სკოლაში მუშაობს ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მასწავლებლები გაკვეთილებზე ესწრებიან ერთმანეთს და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ ისინი რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ცდილოენ საერთო პრობლემული საკითხების შესახებ ერთობლივად მოიძიონ გადაჭრის გზები. აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება და გეგმავენ მის სამომავლოდ გამოყენებასაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებასაც.

კათედრის შეხვედრის ოქმების, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4. მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც იკვლევს მშობლების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების ხარისხს. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს იწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურს კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოია
- .სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კითხვარი
- კათედრის შეხვედრის ოქმი
- დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმ
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა პირველად ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ საბაზო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასები ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,

რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან. უკავშირდება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას. კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პროლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, სკოლა იაზრებს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობას და აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკაყოფილებულია.

2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, მონიტორინგის და შეფასების შედეგები მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. კერძოდ, მეთოდოლოგიის დოკუმენტში საუბარია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. დაგეგმილია მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასება მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე მის დასრულებამდე, რაც დასტურდება კათედრის ოქმებით. სკოლის ბაზაზე უზრუნველყოფილია მასწავლებლის პროფესიული განვითარება და თანამშრომლობის გაძლიერება, წარმოადგინილია მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი ფორმები, სადაც აღწერილია გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება.

სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად? ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას? რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება და გაეცემა პასუხი კითხვას-რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს?

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დირექტორი ბრძანება 01 დეკემბერი 2020 წ,ბრძანება N1-02-44, სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის შემქნის შესახებ
- საგნობრივი კათედრის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ მოსწავლეების შეფასება მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტით არ ხდება. არამედ, გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების მიმდინარეობის პროცესი. მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმაზე ატვირთულია: ანგარიშები, რეფლექსიები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომლებსაც დირექცია იყენებს სასწავლო პროცესის შესაფასებლად. .დამრიგებლის ელექტრონული სამუშაო რვეულიდან ჩანს, რომ შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლე შეაფასონ ჰოლისტურად, რაც გულისხმობს მის შეფასებას მეტაკოგნიტურ, პიროვნულ, ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ სხვა უნარების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა გამოკითხვის ფორმა, მასწავლებლის მასტიმულირებელი საქმიანობის შეფასების მექანიზმები. როგორც სკოლის ვებგვერდიდან ჩანს, მასწავლებლებს აქვს კველევების ჩატარების გამოცდილება და პრობლემების იდენტიფიცირებისთვის იყენებენ პროცესზე დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდებს. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასება განხორციელდება მრავალფეროვან წყაროების გამოყენებით

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დოკუმენტაციით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორებზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები

განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. გასაუბრების დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები, რაც დასტურდება საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. კერძოდ, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიურება იძლევა საშუალებას შეფასების პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთონ, ისე რომ მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობა სკოლის თემისთვისაც სასარგებლო გახდეს. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებით ადგენენ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმაზე განთავსებული ანგარიშებით, რეფლექსიებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზებით დაგინდება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები
2. დამრიგებლის ელექტრონული რვეული

3. მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმა
4. შეფასების ინსტრუმენტები

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:**

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის მექანიზმები. კერძოდ, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში,

მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა და დირექციის მუშაობა. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას, რეფლექსიას, დასახული მიზნების მიღწევის და პროცესების გაუმჯობესების გზების დასახვას. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე იქმნება კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რაც სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება კურიკულუმების შემუშავებისას და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, ჩანს სკოლის მზაობა, უზრუნველყოს არსებული საბაზო საფეხურის კურიკულუმის რევიზია, შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისიწნებით.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის რევიზიის ეტაპს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილების, შეფასების შედეგად დანახული მიგნებების ასახვას ახალი სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმში. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სკოლა აცხადებს მზაობას, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასების შედეგად გადამუშავებული ვერსია წარედგინება სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება *(საშუალო საფეხური)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

IV. საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒**მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის N 6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობელების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სკოლის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა. ამასთან მეთოდოლოოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწალო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და მიდგომებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა.

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, საგნობრივი კურიკულუმებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს სპეციპიკური მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებშიც გაცხადებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის კურიკულუმში/კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში მკაფიოდ ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კერძოდ, საათობრივ ბადეში მე-10-12 კლასებში ესგ-სთან შედარებით გაზრდილია მათემატიკისა ფიზიკის საათების რაოდენობა. საშუალო საფეხურის კურიკულუმებით აღწერილი მოსწავლის განვითარების გზა (გრძალვადიანი მიზნები, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, რესურსები) ხელს უწყობს მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ დაეხმარება საშუალო საფეხურზე ფიზიკა-მათემატიკის გაღრმავებული პროგრამის დაძლევაში. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვას და მათი ინტერესების კვლევას. მოსწავლეთა იტერესების გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე შექმნილია კლუბები და წრეები. სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა.

საგნობრივი კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამის, კლუბების დებულებებისა და გეგმების გაცნობით, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის კათედრის სხომის ოქმები, სადაც განხილულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, მასწავლებლების მოსაზრებები და რეკომენდაციები, თუ როგორ გეგმავენ მეთოდოლოოგიის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლისთვის. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს კურიკულუმების შემუშავების პროცესში თავიანთ როლსა და ჩართულობაზე.

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, კათედრის ოქმით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნითა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს- ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ინტერაქტიული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრებზე მასწავლებლების ერთობლივი მუშაობით, მათ აქვთ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკუკუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები
- სკოლის ვებგვერდი
- მშობელთა კითხვარის ფორმა

2.1.3 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სავალდებულო თემები. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. მათ აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა რომ მათემატიკა და ფიზიკა გაძლიერებულად ისწავლება. კომპლექსური დავალებებით თემების დაფარვამ მეტი ინტერესი და

მოტივაცია გამოიწვია მოსწავლეებში. პროექტული შინაარსის დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. აღნიშნულიდან გამომდინერე შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმით მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები და კონტექსტ მაგალითები. ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მათთან დაკავშირებული საკითხები და კომპლექსური დავალებები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმით თემის ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, კომპლექსური დავალების პირობის შესაბამისად მოსწავლეებს ეძლევათ წარსადგენი პროდუქტის არჩევის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, უზრუნველყოფენ

თემის ფარგლებში მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით გამარტივებულია კომპლექსური დავალების პირობისა და აქტივობების ადაპტირებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სპეციალური მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საგნის მასწავლებელთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ისგ-ს გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებებს. ასევე, კომპლექსურ დავალებებს თან ერთვის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის რუბრიკებიც. გასაუბრებით ირკვევა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ყველა სასწავლო თემისთვის შექმნან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

საშუალო საფეხურის კურიკულუმით, წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, სკოლას აქვს შიდა მოხმარების ელექტრონული პლატფორმა, სადაც ატვირთულია მასწავლებლების ანგარიშები და რეფლექსიები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც დირექციისთვის, ასევე კურიკულუმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფისთვის. აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სასკოლო კურიკულუმებისა და თემატური

მატრიცების შემუშავების საკითხი და მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესი.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით, მასწავლებლის ელექტრონულ პლატფორმაზე წარმოდგენილი მასალებით, კათედრის სხდომის ოქმითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ელექტრონული პლატფორმაზე წარმოდგენილი ანგარიშები და რეფლექსიები
- საშუალო საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები
- ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუში
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად აღნიშნული ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჩართული არიან არაფორმალურ აქტივობებში, მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, რაც ცხადია ხელ უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას. ინტერვიუსას მასწავლებლებმა ისაუბრეს საინტერესო პროექტებზე რომელსაც ახორციელებდნენ საგანმანათლებლო ცენტრებთან, რომლებთანაც სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული. სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც განსაკუთრებულად ხელს შეუწყობს მოსწვალის შემოქმედებით პოცესებში ჩართულობას.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობი კონტექსტისა და შედარების მაგალითების შეთავაზებას, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. საბაზო საფეხურის კურიკულუმები შეიქმნა ცხოვრებისეული კონტექსტის კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას,

მაგ: „კოტეჯის მაკეტის დაგეგმარება და შექმნა, სამშენებლო ხარჯების დათვლა“,“მიუვალ ობიექტამდე მანძილის დადგენა“ და სხვა, ამგავრი დავალებები მოსწავლეებს ეხმარება მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება. ამავე მიზანს ემსახურება პროექტული ტიპის აქტივობები, პრობლემაზე ორიენტირებული სწალება, რომელიც მოცემულ სკოლაში მიმდინარეიბს.

საშუალო საფეხურის კურიკულუმით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომლექსური დავალების პროდუქტებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს ,,უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, საბაზო საფეხურის კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(მათემატიკა და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, მათემატიკა და ფიზიკის საგნებს შორის). აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საგნობრივი კურიკულუმით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომლექსური დავალების პროდუქტებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნის კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები

- კომპლექსური დავალებების პირობები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასუალო საფეხურის საგნობრის კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და ქვეცნებები, თემების ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ცნებებთან დაკავშირებული შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. ფიზიკის და მატემატიკის კურიკულუმში გაწერილი საკითხები იძლევა საგნის გაღმავებული სწავლების შესაძლებლობას. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გამომდინარეობს ცნებების მიხედვით თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და

დეტალურად აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლი საკითხისა და ქვესაკითხებთან მიმართებით.
კურიკულუმის ჩარჩოსა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ინდიაკტორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენისას მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. მათემატიკის სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, ასევე დამატებითი თემებიც, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებისპიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებლია

3. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ცნებების მიხედვით და ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. სკოლას კომპლექსური დავალების შეფასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწვალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იაზრებს მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელობას მათი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე, კომპლექსური დავალების სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიით შეფასების რუბრიკა. ამ რუბრიკებით მოსწავლეთა შეფასება მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ასევე, სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. სკოლაში ფიზიკასა და მათემატიკაში სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ტარდება ქვიზით შეფასება, რომლისთვისაც შეფასების სქემა ისეა გააზრებული და გაწერილი, რომ სხვადასხვა შემფასებელი ადვილად მიდის საერთო შეფასებასა და შეთანხმებამდე, რაც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას. შეფასების კრიტერიუმების მოსწავლეებისა და მშობლებისათვის წინასწარ გაცნობა ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას ობიექტურობასა და სამართლიანობას.

სკოლის შეფასების სისტემისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. როგორც დასკვნის პროექტში ავღნიშნეთ, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადა გაიწერებოდა შეფასების ვერიფიკაციის არსი, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა, ჯგუფის წევრების ფუნქციები, ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმა და ვერიფიკაციის დასკვნის მომზადების წესები.

2.2.2.5 ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (01.09.2023-15.09.2023). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავება..

ინდიკატორი 2.2.2.5 მეტწილ შესაბამისობაშია.

6. პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმებში, გაწერილია ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი, სადაც ხდება მოსწავლის შეფასების აღრიცხვა. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი ყოველი წლის ბოლოს ავსებს მოსწავლის პირად საქმეს, გადააქვს წლიური შეფასებები . შემაჯამებელი წერების ანალიზები ასახულია მასწალებლის პორტალზე. მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია,

საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმეთამმართველთან. ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმებით“ განსაზღვრულია პირადი საქმის შენახვის ვადები 75 წელი.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. შეფასების რუბრიკები
4. საშუალო საფეხურის კათედრის ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სპეციფიკური მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილი კომლექსური დავალებების იდეების განხორციელება მოსწავლეებს აძლევს პიროვნული ზრდის საშუალებას. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მასწავლებლებისთვის თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის

პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა ხელს უწყობს მოსწვლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
საშუალო საფეხურის კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების, მასწავლებელთა რეფლექსიებისა და გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. აღნიშნული კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რაც იძლევა მოსწავლეთა ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირების შესაძლებლობას. ასევე, მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული სადამრიგებლო პროგრამა. დამრიგებლებისთვის შექმნილია ელექტრონული სამუშაო ჟურნალი, სადაც აღიწერება ინფორმაცია არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეთა საქმიანობის შესახებ, კლასისა და სკოლის ტრადიციები, მშობელთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური შეხვედრების მიზნები და გადაწყვეტილებები, სასკოლო ღონისძიებებში კლასის მოსწავლეების ჩართულობა. სკოლაში ტარდება არაფორმალური აქტივობები, ფუნქციონირებს კლუბები და წრეები.

   საშუალო საფეხურის კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო წარიმართება მოსწავლეზე ორინტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს. სკოლაში მუშაობს ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მასწავლებლები გაკვეთილებზე ესწრებიან ერთმანეთს და იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ ისინი რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ცდილოენ საერთო პრობლემული საკითხების შესახებ ერთობლივად მოიძიონ გადაჭრის გზები. აქვთ ინტეგრირებული პროექტების განხორციელების გამოცდილება და გეგმავენ მის სამომავლოდ გამოყენებასაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებასაც.

   კათედრის შეხვედრის ოქმების, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმების გაცნობით, მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზიტის დროს პერსონალის საქმიანობაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4. მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც იკვლევს მშობლების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების ხარისხს. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს იწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სადამრიგებლო საათები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს.

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერვის მეთოდოლოგიის, სადამრიგებლო პროგრამების, სკოლის შინაგანაწესის და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურს კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოია
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთა კითხვარი
- კათედრის შეხვედრის ოქმი
- დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. სკოლა პირველად ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგა და შეფასებაარ არ მომხდარა., თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ კავშირშია სასწავლო პროცესთან. უკავშირდება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას. კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პროლემების გადასაჭრელად, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, სკოლა იაზრებს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობას და აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკაყოფილებულია.

2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობას, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგები მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. კერძოდ, მეთოდოლოგიის დოკუმენტში საუბარია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. დაგეგმილია მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასება მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე მის დასრულებამდე, რაც დასტურდება კათედრის ოქმებით. სკოლის სკოლის ბაზაზე უზრუნველყოფილია მასწავლებლის პროფესიული განვითარება და თანამშრომლობის გაძლიერება, წარმოადგინილია მასწავლებლების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების დამადასტურებელი ფორმები, სადაც აღწერილია გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დირექტორი ბრძანება 01 დეკემბერი 2020 წ,ბრძანება N1-02-44, სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფიდ შემქნის შესახებ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ მოსწავლეების შეფასება მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტით არ ხდება. არამედ, გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების მიმდინარეობის პროცესი. მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმაზე ატვირთულია: ანგარიშები, რეფლექსიები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომლებსაც დირექცია იყენებს სასწავლო პროცესის შესაფასებლად. .დამრიგებლის ელექტრონული სამუშაო რვეულიდან ჩანს, რომ შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლე შეაფასონ ჰოლისტურად, რაც გულისხმობს მის შეფასებას

მეტაკოგნიტურ, პიროვნულ, ფსიქიკურ, ფიზიკურ თუ სხვა უნარების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთა გამოკითხვის ფორმა, მასწავლებლის მასტიმულირებელი საქმიანობის შეფასების მექანიზმები. როგორც სკოლის ვებგვერდიდან ჩანს, მასწავლებლებს აქვს კველევების ჩატარების გამოცდილება და პრობლემების იდენტიფიცირებისთვის იყენებენ პროცესზე დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდებს. აღნიშნული ფაქტებიდან იკვეთევა სკოლის მზაობა, რომ შეფასება განხორციელდება მრავალფეროვან წყაროების გამოყენებით

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დოკუმენტაციით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორებზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. გასაუბრების დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები, რაც დასტურდება საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. კერძოდ, გამოკითხვა, დაკვირვება, ინტერვიურება იძლევა საშუალებას შეფასების პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთონ, ისე რომ მათთვის საინტერესო და სახალისო აქტივობა სკოლის თემისთვისაც სასარგებლო გახდეს. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებით ადგენენ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმაზე განთავსებული ანგარიშებით, რეფლექსიებით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზებით დაგინდება, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები
2. დამრიგებლის ელექტრონული რვეული
3. მასწავლებლის ელექტრონული პლატფორმა
4. შეფასების ინსტრუმენტები

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის მექანიზმები. კერძოდ, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა და დირექციის მუშაობა. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას, რეფლექსიას, დასახული მიზნების მიღწევის და პროცესების გაუმჯობესების გზების დასახვას. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე იქმნება კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რაც სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება კურიკულუმების შემუშავებისას და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, ჩანს სკოლის მზაობა, უზრუნველყოს არსებული საშუალო საფეხურის კურიკულუმის რევიზია, შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისიწნებით.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის რევიზიის ეტაპს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის განმავლობაში საშუალო საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილების, შეფასების შედეგად დანახული მიგნებების ასახვას ახალი სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმში. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სკოლა აცხადებს მზაობას, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასების შედეგად გადამუშავებული ვერსია წარედგინება სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების

მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის შემშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Maka Tukvadze Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2023.09.20 08:53:08

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ნათელა ბასილია--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი--

2.ლელა გორდულაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი---

3. ნინო თევდორაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი -

4. სოფიო მგალობლიშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

5. ლედი კუთხაშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი---

6. გიორგი ტაბუციძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი-

7. მარინე ხუციშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი-

8. ლალი აბულაძე--მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი-

9. კობა დეკანაძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი-----

10. ნათია ბალხამიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი--